შპს „მილენიუმ ჰაუსი „

# ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## შინაარსი

**ფინანსური ინფორმაცია**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------------------------------------------------3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ------------------------------- 4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება --------------------------------------------5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება --------------------------------------------6

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....7
2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები.....7
3.ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....8
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....15
შენიშვნა N5. ძირითადი საშუალებები.....16
შენიშვნა N6 არამატერიალური აქტივები.....17
შენიშვნა N7 ფული და ფულის ექვივალენტები.....18
შენიშვნა N8. მარაგები .....19
შენიშვნა N9. გაცემული ავანსები .....19
შენიშვნა N10.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები .....19
შენიშვნა N11. მიღებული ავანსები .....20
შენიშვნა N12.მიღებული გრძელვადიანი სესხები .....20
შენიშვნა N13. წინასწარ გადახდილი გადასახადები.....21
შენიშვნა N14. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....22
შენიშვნა N15. ამონაგები .....22
შენიშვნა N16. თვითღირებულება.....22
შენიშვნა N17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი .....23
შენიშვნა N18.მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები.....23
შენიშვნა N19. სხვა ხარჯები .....24
შენიშვნა N20. ფინანსური ხარჯები .....24
შენიშვნა N21. ფინანსური შემოსავალი .....24
შენიშვნა N22.მოგების გადასახადი.....24
23.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....25
24. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები .....27
25.პირობითი ვალდებულება.....28
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....28

შპს "მილენიუმ ჰაუსი''
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**
(ლარი)

| | შენიშვნა | 2019 | 2018 | 2017 |
|---|---|---|---|---|
| აქტივები | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 249.91 | 587,663 | 575,686 |
| არამატერიალური აქტივები | 6 | 223.25 | 628 | 1,035 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **473.16** | **588,291** | **576,721** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 7 | 11,706.32 | 1,131,476 | 17,555 |
| მარაგები | 8 | 383,490.53 | 2,425,779 | 1,020,639 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 13 | - | 413,089 | 99,680 |
| გაცემული ავანსები | 9 | 70.85 | 33,095 | 14,110 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 10 | 6,276.09 | | |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **401,543.79** | **4,003,439** | **1,151,984** |
| **სულ აქტივები** | | **402,016.95** | **4,591,730** | **1,728,705** |
| **მთლიანი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | - | 400,000 | 510,000 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | 401,657.01 | (208,374) | (43,678) |
| **სულ კაპიტალი** | | **401,657.01** | **191,626** | **466,322** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სესხები | 12 | - | 523,936 | 323,971 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **-** | **523,936** | **323,971** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| მიღებული ავანსები | 11 | - | 2,616,551 | 26,434.00 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 14 | 359.94 | 1,259,617 | 911,979 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **359.94** | **3,876,168** | **938,413** |
| **სულ ვალდებულებები** | | 359.94 | **4,400,104** | **1,262,384** |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | **402,016.95** | **4,591,730** | **1,728,705** |

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

_______________________________

მთავარი ბუღალტერი: ნათია კვერეხაძე

_________________________________

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

შპს "მილენიუმ ჰაუსი "

**მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

(ლარში)

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 15 | 5,055,017.44 | - |
| თვითღირებულება | 16 | (2,882,046.65) | - |
| **საერთო მოგება** | | 2,172,970.79 | **-** |
| სხვა შემოსავლები | | - | - |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი | 17 | (109,965.60) | (95,894) |
| მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები | 18 | | (946) |
| სხვა ხარჯები | 19 | (602.67) | (807) |
| **საოპერაციო მოგება** | | 2,062,402.52 | **(97,648)** |
| ფინანსური შემოსავალი | 21 | 1,051.01 | - |
| ფინანსური ხარჯი | 20 | (12,144.41) | (37,427) |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება | | 28,721.89 | (29,620) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | 2,080,031.01 | **(164,695)** |
| მოგების გადასახადი | 22 | (220,500.00) | - |
| **წმინდა მოგება** | | 1,859,531.01 | **(164,695)** |
| **სხვა სრული შემოსავალი:** | | - | |
| გადაფასების რეზერვი | | | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | | 1,859,531.01 | **(164,695)** |

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

_______________________________

მთავარი ბუღალტერი: ნათია კვერეხაძე

_________________________________

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

შპს "მილენიუმ ჰაუსი "

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|---|---|---|---|
| **2017 წლის 31 დეკემბერი** | **510,000** | **(43,679)** | **466,321** |
| წმინდა მოგება | - | (164,695) | **(164,695.00)** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | **-** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | **-** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | (110,000) | - | **(110,000.00)** |
| **2018წლის 31 დეკემბერი** | **400,000.00** | | **191,626** |
| წმინდა მოგება | 1,859,531.01 | - | **1,859,531** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | **-** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | 1,859,531.01 | - | **1,859,531.01** |
| გაცემული დივიდენდი | (1,249,500) | - | **(1,249,500.00)** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | (400,000) | - | **(400,000.00)** |
| **2019 წლის 31 დეკემბერი** | **610,031.01** | **-** | **401,657.01** |

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

______________________________

მთავარი ბუღალტერი: ნათია კვერეხაძე

________________________________

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

შპს "მილენიუმ ჰაუსი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარი)

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| წმინდა მოგება/ზარალი | | **1,859,531.01** | **(164,695)** |
| *კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:* | | | |
| - ცვეთა | 17 | 1,124.63 | 12,081 |
| - მოგების გადასახადი | 22 | 220,500 | - |
| - (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან | | 28,721.89 | 29,619.95 |
| - წმინდა ფინანსური ხარჯი | | 59,463.27 | |
| **ცვლილებები სამუშაო კაპიტალში** | | | |
| - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 10 | (6,276.09) | - |
| - მარაგები | 8 | 2,042,288 | (1,405,140) |
| - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 14 | (1,259,976.94) | 347,638 |
| -ზრდა/შემცირება მიღებული ავანსები | 11 | (2,616,551) | 2,590,117 |
| - გაცემული ავანსების ზრდა/შემცირება | 9 | 33,024.15 | (18,985) |
| **ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები** | | **361,849.39** | **1,390,636.24** |
| - გადახდილი პროცენტები | | (59,463.27) | - |
| - წინასწარ გადახდილი გადასახადი | 13 | 413,089 | (313,409) |
| -გადახდილი მოგების გადასახადი | 22 | (220,500) | |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **494,975.12** | **1,077,227.24** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა | 5 | | (23,651) |
| - ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები | 5 | 587,413 | |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **587,413.09** | **(23,651.29)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| - საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება) | | (400,000) | (110,000) |
| - სასესხო ვალდებულების ზრდა | 12 | | 199,965 |
| - სასესხო ვალდებულებების დაფარვა | 12 | (523,936) | - |
| - გადახდილი დივიდენდები | | (1,249,500) | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | **(2,173,436)** | **89,965.00** |
| **გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება** | | (28,721.89) | (29,619.95) |
| **ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა** | | (1,091,047.79) | 1,143,540.95 |
| **ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | | 1,131,476.00 | 17,555 |
| **ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს** | | **11,706.32** | **1,131,476** |

დირექტორი : ლევან პაპაშვილი

________________________________

მთავარი ბუღალტერი: ნათია კვერეხაძე

________________________________

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მილენიუმ ჰაუსი " (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 8 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით **400196140**, სარეგისტრაციო ნომერი **B17016051**. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ბარისახოს ქუჩა N 12, ხოლო ფაქტიური მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ხიზანბარელის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდით 11.12.019.148).
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.
საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან: ლევან პაპაშვილი,(პ/ნ 01004001829);ნატალი ჭრიკიშვილი (პ/ნ 01001063059); თამარ თავართქილაძე, პ/ნ (01005018944).
პარტნიორთა წილები კაპიტალში განისაზღვრება შემდეგნაირად: ლევან პაპაშვილი -20 % , ნატალი ჭრიკიშვილი-40 %, თამარ თავართქილაძე-40 %. საზოგადოების მმართველ ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.
კომპანიას ხელმძღვანელობს და წარმოადგენს - ლევან პაპაშვილი (პ/ნ 01004001829).

## 2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

მსს ფასს-ის გამოყენების პირველი წელი კომპანიისათვის არის 2018 წელი. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, რადგანაც მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს : ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2019 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების პაკეტი შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მითითებებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოსა და დარიცხვის მეთოდის პრინციპის დაშვებით. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, რომელიც ემთხვევა საანგარიშგებო პერიოდს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი (ლარი).უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

რიცხოვრივი მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

## 3.ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოყენებულია ფინანუსრი ინფორმაციის მომზადებისას მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავება არ არის განცხადებული.

**შეფასების და წარდგენის ვალუტა**

ა) კომპანია ოპერაციების აღსარიცხავად იყენებს ქართულ ლარს. შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ლარში.

ბ) ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისათვის.მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

***ეროვნული ბანკის ოფიცილური კურსი***

| პერიოდი | დოლარი |
|---|---|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766 |

***6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს***

*ფინანსური ინსტრუმენტები*

**ტერმინების განმარტებები:**

**რეალური ღირებულება** - არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** - არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის –

ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური
საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალნსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ფინანსური აქტივები**

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრას მათი თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსური აქტივებს მოგებაშია ან ზარალში ასახვით.

**სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

აღნიშნული აქტივები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ფინანსური ბაზარზე.მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივი, რომლებიც დაუბრკოლებლად იცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.
ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. ხოლო 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასება ხდება ანგარიშგების შედგენის თარიღით. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით,რომელსა ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას).

***6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს***

აქტვის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებებში. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას.ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულაბა არ აღემატება მის ამორტიზირებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც : ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებიტად არც გადასცემს და არც იტოვებსყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებუ კონტროლს.კონტოლი შენარჩულებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარი გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

**ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხები, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სასხით.ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულების,განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ხოლო შემდგომ ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულებების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლევა მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად ან ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდეკ ანაზრაურებას შორის აისეხება მოგებასა და ზარალში.

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგეილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

**სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ის გაიწევა.

**იჯარა**

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისათვის.ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციოდ (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

**ძირითადი საშუალებები**

- **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს,ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაშუ, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად, მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლებუს/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულაბაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედიდ განსაზღვრა.შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორ ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

- *ცვეთა*

ძირითად საშეულებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობასი მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.
ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით,** სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.მიწას ცვეთა არ ერიცხება.აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას.ასევე გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალებების ჯგუფები | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| შენობები | 25-30 წელი |
| მანქანა-დანადგარები | 5-8 წელი |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი |
| კომპიუტეული ტექნიკა | 3-6 წელი |
| სამშენებლო ინვენტარი | 1-5 წელი |

**არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამა (3 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამრტიზირდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.
**მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულით, ხოლო შემდგომ მარაგები აღიარდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან,მაგალითად ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.
კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო მასალებს.მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. წარმოების პროცესში სასაქონლო მატერიალური მარაგები თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, სადაც ყოველთვიურად აკუმულირდება წარმოების ყველა ხარჯი.მაგალითად ცვეთა, იჯარა, შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯი.

***6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს***

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო შეწონლი** მეთოდის მიხედვით.

**დაბეგვრა**

კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი. კომპანიის მიერ საგადასახადო ხარჯი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე ისეთი გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

**შემოსავალი**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვამ რისკსა და სარგებელს, და ამასთანავემ როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილენულად, როდესაც საქონელი გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

**ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას,რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანაგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა და ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ.

*6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანაგრიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ავტორიზაციის თარიღამდე მომხადი მოვლენებიმ რომლებიც დამატებით ინფრომაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ.აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვი, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

ფინანსურ ანგარიშგებაში პირობითი ვალდებულებები აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებით ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან მოსალოდნელი არ არის.ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები.თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი ეს არის ვალდებულება, რომელიც დაკავშირებუალია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან.ვალდებულება კი წარმოადგენს კომაპნიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.
კომაპანიაში ანარიცხები აღიარდება მაშინ როდესაც :

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა , რომ ამ მვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

## 4.მნიშნველოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

**ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები -** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზავიის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში, სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში

***6-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენენ მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს***

აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.პერიოდულად ხდება შეფასების სისწორის შემოწმება.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

